სარჩევი

რა არის ახალი 3

წარმოების შეკვეთა 3

დოკუმენტი 3

სტატუსები 4

დაბრუნებული ხელფასის და ფიზ. პირებისთვის დაბრუნებული თანხის დანართ "ა"-ში გათვალისწინება 6

ბალანსი პერიოდულობის მიხედვით 8

შესყიდვის დოკუმენტში მითვლის ფუნქციონალი 8

შესყიდვის დოკუმენტი 8

შესყიდვა მომწოდებლისგან/შესყიდვა ანგარიშვალდებული პირის მიერ 10

შესყიდვის შექმნა სასაქონლო ზედნადებიდან 11

შესყიდვა იმპორტით 11

შესყიდვაში ფაქტობრივი რაოდენობის დათვლის როლი 12

დოკუმენტის რაოდენობის გადავსება კორექტირებული ზედნადების მონაცემების მიხედვით 13

ანგარიშგება - შესყიდვების მითვლილი რაოდენობის ანალიზი 14

ინვენტარიზაციაში რაოდენობრივი ძირითადი საშუალების გათვალისწინება..... 14

რაოდენობრივი ძირითადი საშუალების გადაადგილების ცვლილება..... 16

ვადაგადაცილების შემთხვევაში რეალიზაციისა და შეკვეთის გატარების შეზღუდვა 17

რა არის ახალი მარდიში 19

გასწორებული შეცდომები 19

სხვა მოდიფიკაციები 20

ბალანსის რელიზი_1.3.10.1

18.02.2025

რა არის ახალი

წარმოების შეკვეთა

პროგრამა ბალანსში დაემატა წარმოების შეკვეთის დოკუმენტი, რომელიც საშუალებას იძლევა პროდუქციის გამოშვება აღირიცხოს წარმოების შეკვეთების მიხედვით და წარმოების შეკვეთები გაფორმდეს მყიდველის შეკვეთის და შეკვეთა გადაადგილების საფუძვლად.

წარმოების შეკვეთების აღრიცხვის ფუნქციის გასააქტიურებლად, ადმინისტრირების მოდულში, მარაგების დანაყოფში უნდა გააქტიურდეს ალამი „წარმოების შეკვეთა“



რომლის გააქტიურების შემდეგ, წარმოების მოდულში დაემატება წარმოების შეკვეთის დოკუმენტი



დოკუმენტი

წარმოების შეკვეთის დოკუმენტის ქუდურ ნაწილში ეთითება დოკუმენტის თარიღი და საწყობი, რომელი საწყობითაც გადაივსება მის საფუძველზე შექმნილი წარმოების დოკუმენტი, ხოლო ცხრილური ნაწილი კი შედგება პროდუქციის და მასალის ჩანართებისგან, რომელში შეყვანილი მონაცემების საფუძველზეც გადაივსება გამოშვების დოკუმენტი.

წარმოების შეკვეთის დოკუმენტი შესაძლოა გაფორმდეს რამდენიმე მყიდველის შეკვეთის და შეკვეთა გადაადგილების საფუძვლად.
წარმოების შეკვეთის დოკუმენტის, პროდუქციის ჩანართის ღილაკით „შეკვეთების შევსება“ შესაძლებელია წარმოების შეკვეთაში ერთდროულად რამდენიმე მყიდველის შეკვეთა და შეკვეთა გადაადგილებაზე აირჩიოთ.



სტატუსები

წარმოების შეკვეთის კონსტანტის გააქტიურების შემდეგ წარმოების შეკვეთის დოკუმენტის სიაზე დაემატება ახალი სვეტი „მდგომარეობა“, რომელიც გვიჩვენებს სტატუსს წარმოების შეკვეთის მდგომარეობის შესახებ.

მდგომარეობას აქვს სამი მნიშვნელობა:

ღია	წარმოების შეკვეთის საფუძველზე არ არის გაფორმებული გამოშვება ან შეკვეთა ხელით დახურული არ არის
ნაწილობრივ წარმოებული	წარმოების შეკვეთის საფუძველზე გაფორმებულია პროდუქციის გამოშვება, თუმცა მთლიანად არ არის წარმოებული შეკვეთილი პროდუქცია.
დახურული	წარმოების შეკვეთის საფუძველზე გაფორმებულია პროდუქციის გამოშვება, რომლითაც მთლიანად ნაწარმოებია შეკვეთილი პროდუქცია ან შეკვეთა დახურულია ხელით, შეკვეთების დახურვის დოკუმენტის მეშვეობით.

წარმოების შეკვეთის კონსტანტის გააქტიურების შემდეგ მყიდველის შეკვეთის და შეკვეთა გადაადგილების დოკუმენტების სიაზე დაემატება ორი ახალი სვეტი: „წარმოების სტატუსი“ და „დაგეგმვის სტატუსი“.
ორივე სტატუსში ჩანაწერი კეთდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დოკუმენტში არის ერთი მაინც საკუთარი წარმოების პროდუქცია.

დაგეგმვის სტატუსი გვიჩვენებს წარმოების შეკვეთების ჭრილში, მყიდველის/გადაადგილების შეკვეთების მდგომარეობას.
დაგეგმვის სტატუსს აქვს 3 მნიშვნელობა:

ღია	მყიდველის/გადაადგილების შეკვეთაში არის საკუთარი წარმოების პროდუქტი, შეკვეთის საფუძველზე არ არის გაფორმებული წარმოების შეკვეთის დოკუმენტი
ნაწილობრივ დაგეგმილი	მყიდველის/გადაადგილების შეკვეთის საფუძველზე გაფორმებულია წარმოების შეკვეთა, თუმცა მთლიანად არ არის შეკვეთილი მყიდველის შეკვეთაში არსებული საკუთარი წარმოების პროდუქცია
დახურული	მყიდველის/გადაადგილების შეკვეთაში არსებულ ყველა საკუთარი წარმოების პროდუქციაზე გაფორმებულია წარმოების შეკვეთის დოკუმენტი.

წარმოების სტატუსი გვიჩვენებს მყიდველის/გადაადგილების შეკვეთის საფუძველზე შექმნილი წარმოების შეკვეთის დოკუმენტის გამოშვების სტატუსს.

დაგეგმვის სტატუსს აქვს 3 მნიშვნელობა:

ღია	მყიდველის/გადაადგილების შეკვეთაში არის საკუთარი წარმოების პროდუქტი, წარმოების შეკვეთის საფუძველზე არ არის გაფორმებული გამოშვების დოკუმენტი
ნაწილობრივ წარმოებული	მყიდველის/გადაადგილების შეკვეთის საფუძველზე გაფორმებულია წარმოების შეკვეთა, თუმცა მის საფუძვლად პროდუქცია ნაწილობრივაა ნაწარმოები
დახურული	მყიდველის/გადაადგილების შეკვეთაში არსებულ ყველა საკუთარი წარმოების პროდუქცია შეკვეთილი და გამოშვებულია.

დაბრუნებული ხელფასის და ფიზ. პირებისთვის დაბრუნებული თანხის დანართ "ა"-ში გათვალისწინება

პროგრამა ბალანსში ფულის შემოსვლა ბანკში და სალაროს შემოსავლის ორდერის დოკუმენტებს დაემატა ოპერაციის ტიპი ხელფასის დაბრუნება, რაც მომხმარებლებს საშუალებას აძლევთ აღრიცხოს ხელფასის დაბრუნების ტრანზაქციები და ასევე დააკორექტირონ შესაბამისი თვის საშემოსავლო დეკლარაცია.

იმისათვის რომ კორექტირება აისახოს სასურველ ტრანზაქციაზე მომხმარებელმა უნდა შეავსოს „გაცემის თარიღი“. გაცემის თარიღში ივსება ის თარიღი რომელი ტრანზაქციის დაკორექტირებასაც ცდილობს მომხმარებელი დეკლარაციაში, ანუ როდესაც გასცა არასწორად ხელფასი.



იგივე გაცემის თარიღი დაემატა მომწოდებლის მიერ თანხის დაბრუნების ოპერაციის ტიპს რაც განაპირობებს დაბეგვრადი მომწოდებელზე გაცემული თანხების კორექტირების საშუალებას



ბალანსი პერიოდულობის მიხედვით

პროგრამის სტანდარტულ ბალანსის ანგარიშგებას დაემატა ახალი ანგარიშგების ვარიანტი სადაც მომხმარებელს საშუალებას აძლევთ მიუთითოს სასურველი პერიოდი და პერიოდულობა. შესაბამისად ბალანსის მონაცემები დაგენერირდება მითითებული პერიოდულობის ბოლო დღის მონაცემებით. მაგალითად თუ პერიოდში მიეთითება თვე, ბალანსის მონაცემები გამოვა ყოველი თვის ბოლო დღის მონაცემებით.



შესყიდვის დოკუმენტში მითვლის ფუნქციონალი

ბალანსში დაემატა შესყიდვის დოკუმენტში ფაქტობრივი რაოდენობის მითვლის ფუნქციონალი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია შესყიდვის დოკუმენტში მიღებული საქონლის/მომსახურების დათვლა და ამის შემდგომ ასახვა ბუღალტრულად. ფუნქციონალის გასააქტიურებლად, ადმინისტრირება > შესყიდვების მოდულში უნდა გააქტიუროთ კონსტანტა „შესყიდვაში ფაქტობრივი რაოდენობის მითვლა“.

შესყიდვის დოკუმენტი

კონსტანტის გააქტიურებით,შესყიდვის დოკუმენტის ქუდურ ნაწილში, დაემატება ველი „სტატუსი“, რომელსაც აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

1. მზადაა დასათვლელად
2. დათვლის პროცესში
3. დათვლილი.

დოკუმენტში სტატუსების მითითება ხდება მექანიკურად.

შესყიდვების დოკუმენტში, ნომენკლატურის ჩანართის ცხრილურ ნაწილში გამოჩნდება შემდეგი ველები :

1. ფაქტობრივი რაოდენობა
2. რაოდენობა დოკუმენტში
3. გადახრა(სხვაობა ფაქტობრივ რაოდენობასა და დოკუმენტის რაოდენობას შორის).

დამატებით ჩანართში დაემატა ველი „ამგროვებელი“, რომელიც ივსება ავტომატურად, იმ მომხმარებლით, რომელმაც დოკუმენტის სტატუსად მიუთითა „დათვლილი“.





„დათვლილი“ სტატუსის მქონე დოკუმენტის ნომენკლატურის ჩანართი, შეზღუდული მომხმარებლის მიერ რედაქტირებადი არაა, ასევე არ არის რედაქტირებადი სტატუსის ველი.



შესყიდვა მომწოდებლისგან/შესყიდვა ანგარიშვალდებული პირის მიერ

ოპერაციის ტიპებისთვის, შესყიდვა მომწოდებლისგან და შესყიდვა ანგარიშვალდებული პირის მიერ, ნომენკლატურის ჩანართში, საქონლის/მომსახურების დამატებისას, ავტომატურად ივსება ველი „რაოდენობა დოკუმენტში“, მნიშვნელობით 1. ადგილობრივი შესყიდვისას, „რაოდენობა დოკუმენტში“ მითითებული რაოდენობები გატარებაში მონაწილეობას არ იღებს, შესაბამისად, არც ბუღალტრული შედეგი ექნება დოკუმენტს. ბუღალტრულად ტარდება რაოდენობა, რომელიც მითითებული იქნება ფაქტობრივი რაოდენობის ველში, მას შემდეგ, რაც საწყობის თანამშრომელი მიითვლის დოკუმენტში არსებულ საქონელს/მომსახურებას და დოკუმენტს მიანიჭებს სტატუსს დათვლის პროცესში ან დათვლილი.

ფაქტობრივი რაოდენობის შევსება ხდება , როგორც ველში ჩადგომით და რაოდენობის მითითებით, ასევე ფაქტობრივი რაოდენობის გადავსება ღილაკით, რომელიც გადაავსებს ფაქტობრივ რაოდენობას დოკუმენტის რაოდენობიდან. გადახრის ველში კი გამოჩნდება სხვაობა დოკუმენტის რაოდენობასა და ფაქტობრივ(მითვლილ) რაოდენობას შორის.



შესყიდვის შექმნა სასაქონლო ზედნადებიდან

ზედნადების დამუშავებიდან შესყიდვის დოკუმენტის შექმნისას, ზედნადების რაოდენობები, ავტომატურად გადაივსება დოკუმენტის ველში - "რაოდენობა დოკუმენტში" და კორექტირებადი აღარ იქნება ეს ველი ისეთ დოკუმენტებში, რომელზეც სასაქონლო ზედნადებია მიბმული.

შესყიდვა იმპორტით

ოპერაციის ტიპისთვის შესყიდვა იმპორტით, ნომენკლატურის ჩანართში, საქონლის/მომსახურების დამატებისას, ავტომატურად ივსება ველი „რაოდენობა დოკუმენტში", მნიშვნელობით 1. იმპორტით შესყიდვისას, „ფაქტობრივ რაოდენობაში" მითითებული რაოდენობები გატარებაში მონაწილეობას არ იღებს, შესაბამისად, არც ბუღალტრული შედეგი ექნება დოკუმენტს. ბუღალტრულად ტარდება რაოდენობა, რომელიც მითითებული იქნება „რაოდენობა დოკუმენტი" ველში. იმპორტით შესყიდვისას, სტატუსს ბუღალტრული გატარების კუთხით მნიშვნელობა არ აქვს.

შესყიდვაში ფაქტობრივი რაოდენობის დათვლის როლი

შესყიდვაში ფაქტობრივი რაოდენობის მითვლის კონსტანტის გააქტიურებისთანავე, წვდომის ჯგუფის პროფილში, სხვა უფლებების ჩანართში, დაემატება „შესყიდვაში ფაქტობრივი რაოდენობის დათვლის“ როლი, რომელიც ავტომატურად მოინიშნება იმ წვდომის ჯგუფის პროფილებში, რომლებსაც წვდომა აქვს შესყიდვის დოკუმენტზე.



აღნიშნული როლი საშუალებას აძლევს შეზღუდულ მომხმარებელს, წვდომა ჰქონდეს და დააკორექტიროს ფაქტობრივი რაოდენობის ველი, ასევე, ისეთი მომხმარებლებისთვის, რომლებსაც წვდომა არ აქვთ შესყიდვის დოკუმენტზე, ფაქტობრივი რაოდენობის დათვლის როლი წვდომას აძლევს შესყიდვის დოკუმენტის მხოლოდ ფაქტობრივი რაოდენობის ველზე.



დოკუმენტის რაოდენობის გადავსება კორექტირებული ზედნადების მონაცემების მიხედვით

მითვლის კონსტანტის გააქტიურების შემდეგ, მიღებული სასაქონლო ზედნადების დამუშავებაში დაემატება „დოკუმენტში რაოდენობის განახლება“ ღილაკი, რომელზე დაჭერის შემდეგ ჩამოიტვირთება არჩეულ პერიოდში დაკორექტირებული ზედნადებები და ავტომატურად განახლდება შესყიდვის დოკუმენტის ველი -“რაოდენობა დოკუმენტში“, თუკი დაკორექტირებული ზედნადების საფუძველზე უკვე გქონდათ შექმნილი პროგრამაში შესყიდვის დოკუმენტი. გასათვალისწინებელია, რომ ხდება მხოლოდ არსებული ჩანაწერის რაოდენობის კორექტირება. თუკი კორექტირებით ხდება ზედნადებში პოზიციების წაშლა , მსგავსი ზედნადების საფუძველზე შექმნილი შესყიდვის დოკუმენტი პროგრამაში არ დაკორექტირდება ავტომატურად.



დოკუმენტის რაოდენობის გადავსება ღილაკი დაემატა ასევე ადგილობრივი შესყიდვის დოკუმენტში, რომელზე დაჭერითაც, შესყიდვის დოკუმენტის „რაოდენობა დოკუმენტში“ ველი გადაივსება შესყიდვის დოკუმენტზე მიბმული კორექტირებული ზედნადების მონაცემების მიხედვით.



ანგარიშგება - შესყიდვების მითვლილი რაოდენობის ანალიზი

მითვლის ფუნქციონალის გააქტიურებისას, შესყიდვების და საწყობის ანგარიშგებებში დაემატება შესყიდვების მითვლილი რაოდენობის ანალიზის ანგარიშგება, სადაც შეგიძლიათ აკონტროლოთ დოკუმენტების, სტატუსების, მომწოდებლების და ნომენკლატურების ჭრილში რა რაოდენობა არის მითვლილი, რა რაოდენობა არის მითითებული დოკუმენტში და რა არის გადახრა.



დოკუმენტი	სტატუსი	მომწოდებელი	ოპერაციის ტიპი	ნომენკლატურა	ფაქტობრივი რაოდენობა	რაოდენობა დოკუმენტში	გადახრა
შესყიდვა 34 - 15.01.2025	დათვლის პროცესში	ATL SOFTWARE LLC	შესყიდვა მომწოდებლისგან	მომსახურება	4	4	
შესყიდვა 34 - 15.01.2025	დათვლის პროცესში	ATL SOFTWARE LLC	შესყიდვა მომწოდებლისგან	ჯიმი მარწყვის 360გრ ლოკმანი		3	-3
შესყიდვა 35 - 15.01.2025		ATL SOFTWARE LLC	შესყიდვა იმპორტით	მომსახურება	2	2	
შესყიდვა 35 - 15.01.2025		ATL SOFTWARE LLC	შესყიდვა იმპორტით	ჯიმი მარწყვის 360გრ ლოკმანი	3	2	1
შესყიდვა 36 - 15.01.2025	დათვლის პროცესში	ATL SOFTWARE LLC	შესყიდვა იმპორტით	ჯიმი მარწყვის 360გრ ლოკმანი	4	5	-1
შესყიდვა 40 - 20.01.2025	მზადაა დასათვლელად	ATL SOFTWARE LLC	შესყიდვა იმპორტით	მომსახურება	2	2	
შესყიდვა 40 - 20.01.2025	მზადაა დასათვლელად	ATL SOFTWARE LLC	შესყიდვა იმპორტით	ჯიმი მარწყვის 360გრ ლოკმანი		3	-3
შესყიდვა 43 - 20.01.2025		ATL SOFTWARE LLC	შესყიდვა იმპორტით	ჯიმი მარწყვის 360გრ ლოკმანი		1	-1
შესყიდვა 44 - 20.01.2025	დათვლის პროცესში	ATL SOFTWARE LLC	შესყიდვა მომწოდებლისგან	ჯიმი მარწყვის 360გრ ლოკმანი		1	-1
შესყიდვა 45 - 20.01.2025	დათვლის პროცესში	ATL SOFTWARE LLC	შესყიდვა მომწოდებლისგან	მომსახურება	1	1	
შესყიდვა 45 - 20.01.2025	დათვლის პროცესში	ATL SOFTWARE LLC	შესყიდვა მომწოდებლისგან	ჯიმი მარწყვის 360გრ ლოკმანი	2	5	-3
შესყიდვა 46 - 20.01.2025	დათვლის პროცესში	ATL SOFTWARE LLC	შესყიდვა იმპორტით	მომსახურება	2	2	
შესყიდვა 46 - 20.01.2025	დათვლის პროცესში	ATL SOFTWARE LLC	შესყიდვა იმპორტით	ჯიმი მარწყვის 360გრ ლოკმანი		4	-4
შესყიდვა 48 - 21.01.2025	დათვლის პროცესში	ATL SOFTWARE LLC	შესყიდვა იმპორტით	მომსახურება	1	1	
შესყიდვა 48 - 21.01.2025	დათვლის პროცესში	ATL SOFTWARE LLC	შესყიდვა იმპორტით	ჯიმი მარწყვის 360გრ ლოკმანი	6	7	-1
შესყიდვა 51 - 21.01.2025	მზადაა დასათვლელად	ATL SOFTWARE LLC	შესყიდვა იმპორტით	მომსახურება	2	2	
შესყიდვა 51 - 21.01.2025	მზადაა დასათვლელად	ATL SOFTWARE LLC	შესყიდვა იმპორტით	ჯიმი მარწყვის 360გრ ლოკმანი		5	-5
შესყიდვა 53 - 21.01.2025	დათვლილი	ATL SOFTWARE LLC	შესყიდვა იმპორტით	მომსახურება	2	2	
შესყიდვა 53 - 21.01.2025	დათვლილი	ATL SOFTWARE LLC	შესყიდვა იმპორტით	ჯიმი მარწყვის 360გრ ლოკმანი	4	4	
შესყიდვა 57 - 21.01.2025		ATL SOFTWARE LLC	შესყიდვა მომწოდებლისგან	მომსახურება	1		1
შესყიდვა 57 - 21.01.2025		ATL SOFTWARE LLC	შესყიდვა მომწოდებლისგან	ჯიმი მარწყვის 360გრ ლოკმანი	1		1
შესყიდვა 61 - 21.01.2025	დათვლილი	ATL SOFTWARE LLC	შესყიდვა იმპორტით	მომსახურება	2	2	
შესყიდვა 61 - 21.01.2025	დათვლილი	ATL SOFTWARE LLC	შესყიდვა იმპორტით	ჯიმი მარწყვის 360გრ ლოკმანი	5	5	
შესყიდვა 63 - 21.01.2025		ATL SOFTWARE LLC	შესყიდვა იმპორტით	მომსახურება	3	3	
შესყიდვა 63 - 21.01.2025		ATL SOFTWARE LLC	შესყიდვა იმპორტით	ჯიმი მარწყვის 360გრ ლოკმანი		5	-5
სულ					127	167	-40

ინვენტარიზაციაში რაოდენობრივი ძირითადი საშუალების გათვალისწინება

ძირითადი საშუალების ინვენტარიზაციის დოკუმენტში დაემატა რაოდენობრივი ძირითადი საშუალების ცხრილში დამატების საშუალება.

დოკუმენტში ძირითადი საშუალებების შესახებ ინფორმაცია ივსება საწყობისა და ფილიალის ჭრილში, რაც შეეხება დეპარტამენტსა და პასუხისმგებელ პირს თუ გარკვეული რაოდენობა სხვადასხვა დეპარტამენტსა და პასუხისმგებელ პირზეა ასეთ შემთხვევაში ცხრილში ერთი და იგივე ძირითადი საშუალებები დაემატება იმდენ სტრიქონად რამდენი განსხვავებული ჩანაწერიც აქვს ადგილმდებარეობის რეგისტრში.

რაოდენობრივი ძირითადი საშუალებებისთვის დაემატა რამდენიმე ველი: „აღრიცხვის რაოდენობა“, „არსებობა აღრიცხვის მონაცემებით“ , „ფაქტობრივი რაოდენობა“, „ფაქტობრივი არსებობა“, „ზედმეტობა რაოდენობა“, „ზედმეტობა“, „დანაკლისი რაოდენობა“, „დანაკლისი“.



შერჩევიდან შესაძლებელია როგორც რაოდენობრივი ისე ინდივიდუალური ძირითადი საშუალებების დამატებაც.

დოკუმენტის საფუძვლად იქმნება ძირითადი საშუალების გადაადგილების დოკუმენტი. საფუძვლად შექმნის დროს გამოდის ფანჯარა - ოპერაციის სახე. „გადაადგილების“ არჩევისას შეიქმნება ძირითადი საშუალების გადაადგილების დოკუმენტი ინდივიდუალურ ძირითად საშუალებებზე, ხოლო „რაოდენობრივის გადაადგილებისას“ გაფორმდება ძირითადი საშუალების გადაადგილების დოკუმენტი რაოდენობრივ ძირითად საშუალებებზე.

თუ ფაქტობრივი რაოდენობა ან ღირებულება მეტია აღრიცხვის რაოდენობასა და ღირებულებაზე, ან თუ განსხვავდება ფაქტობრივი და არსებული დეპარტამენტი და პასუხისმგებელი, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეივსება ძირითადი საშუალების გადაადგილების დოკუმენტის ცხრილი.

რაოდენობრივი ძირითადი საშუალების გადაადგილების ცვლილება

რაოდენობრივი ძირითადი საშუალების გადაადგილების დოკუმენტში შესაძლებელი გახდა ერთდროულად რამდენიმე დეპარტამენტიდან და პასუხისმგებელი პირიდან ერთი და იგივე ძირითადი საშუალების გადაადგილება.

ამისათვის რაოდენობრივი ძირითადი საშუალების გადაადგილების დოკუმენტის ცხრილში ქუდური ნაწილიდან ჩამოვიდა ისეთი რეკვიზიტები, როგორიცაა გამგზავნი დეპარტამენტი და გამგზავნი პასუხისმგებელი პირი.



ასევე შეიცვალა შევსება ღილაკიდან შერჩევის ნაწილიც:



თუ ძირითადი საშუალება არის რამდენიმე საწყობსა და პასუხისმგებელ პირზე განაწილებული, შერჩევის ფორმაში გამოდის ყველა ეს ინფორმაცია. მარცხენა ნაწილში გამოდის ყველა ის ძირითადი საშუალება რომელიც იმყოფება ქუდში მითითებულ გამგზავნ საწყობსა და ფილიალზე, თუ ძირითად საშუალებაზე დავდგებით ფორმის მარჯვენა მხარეს გამოდის ეს კონკრეტული ძირითადი საშუალება რომელ დეპარტამენტში, რომელ პასუხისმგებელ პირზე რა რაოდენობით არსებობს.



მარჯვენა ცხრილზე ორჯერ დაკლიკვით გადაადგილების ცხრილში ივსება ინფორმაცია. გამგზავნ და მიმღებ დეპარტამენტსა და პასუხისმგებელში ივსება ერთი და იგივე ინფორმაცია რაც არის შერჩევის ცხრილში, რადგან შესაძლებელია მხოლოდ საწყობისა და ფილიალის ცვლილება სჭირდებოდეს მომხმარებელს.

რაც შეეხება ცხრილში ხელით დამატებულ ძირითად საშუალებას, ამ შემთხვევაში არ ივსება დანარჩენი მონაცემები, ხელით უნდა მიეთითოს რაოდენობაც, გამგზავნი და მიმღები დეპარტამენტი და პასუხისმგებელი პირი.

„შევსება ყველა შესაძლო ძს-ით“ - შევსებისას თუ ერთი ძირითადი საშუალება სამ დეპარტამენტზეა, ცხრილში სამ სტრიქონად დაემატება შესაბამისი რაოდენობებით.

ვადაგადაცილების შემთხვევაში რეალიზაციისა და შეკვეთის გატარების შეზღუდვა

ვადაგადაცილების შემთხვევაში რეალიზაციისა და შეკვეთის დოკუმენტის გატარების შეზღუდვისათვის აუცილებელია, რომ ბალანსში ანგარიშსწორების აღრიცხვის აწყობებში გააქტიურდეს კონსტანტა „გატარების შეზღუდვა ვადაგადაცილების მიხედვით“. ამ კონსტანტის გააქტიურების გარდა, კონკრეტულად მომხმარებლის ჭრილშიც უნდა მოხდეს გატარების

შეზღუდვა.

თუ მომხმარებლის ჭრილში არ შევზღუდავთ, ასეთ დროს დოკუმენტების გატარებისას გამოგვიტანს მხოლოდ ინფორმაციულ შეტყობინებას, რომ ფიქსირდება ვადაგადაცილება, თუმცა დოკუმენტის გატარება მაინც მოხდება.

მომხმარებლის შეზღუდვა ხდება პროფილში „სხვა უფლებების“ ჩანართიდან:



ალმის გააქტიურების შემთხვევაში ვადაგადაცილებით შეზღუდვა მოხდება ანგარიშსწორების პირობების მიხედვით, რომელიც მყიდველის ცნობარზე გვაქვს შევსებული. თუ კონტრაგენტს ერთ დოკუმენტზე მაინც ექნება ვადაგადაცილება, ამ მყიდველზე ახალ დოკუმენტს უკვე აღარ გაგვატარებინებს.



რა არის ახალი მარდიში

(მარდის რელიზი-1.3.16/1.3.17)

ფუნქციონალი:

- შეკვეთაში მიწოდების თარიღის დამატება
- რამდენიმე ფასის ტიპის გამოყენება
- პროდუქტის სიაზე სურათების გამოჩენა
- თანხის და რაოდენობის ლიმიტის შეზღუდვა

გასწორებული ხარვეზები:

- ავტომატური ფასდაკლების დამრგვალების ხარვეზი
- კალათაში პროდუქციის დამატების ხარვეზი
- უკან დაბრუნების ფასის რედაქტირების შეტყობინება აპლიკაციაში

გასწორებული შეცდომები

- გასწორებულია ვადების მიხედვით დავალიანების რეპორტში დავალიანების ამოტანის ხარვეზი, როდესაც კონტრაგენტთან ფიქსირდება ავანსი
- გასწორებულია ვადების მიხედვით დავალიანების რეპორტში თარიღის ფილტრის ხარვეზი, როდესაც კონტრაგენტთან ჩართულია დოკუმენტობით ანგარიშსწორება
- გასწორებულია გაცემული სასაქონლო ზედნადების ჟურნალიდან შვილობილ მყიდველზე ზედნადების გაწერის ხარვეზი
- გასწორებულია ინდივიდუალური ძირითადი საშუალებების გადაადგილების დოკუმენტში ნაშთების შევსების ხარვეზი, როდესაც ერთი ძირითადი საშუალება რამდენჯერმე არის გადაადგილებული
- გასწორებულია ინვენტარიზაციის დოკუმენტში თვითღირებულების ხედვის ხარვეზი, როდესაც მომხმარებელს არ აქვს თვითღირებულების დანახვის როლი ჩართული
- გასწორებულია გაყიდვების დამხმარეში თანხა დღგ-ის ჩათვლით შევსების ხარვეზი
- გასწორებულია ქლაუდის ბაზაში საბეჭდი შაბლონების ჩატვირთვის ხარვეზი
- გასწორებულია ძირითადი საშუალების ჩამოწერის დოკუმენტზე ფაილის მიბმის ხარვეზი
- გასწორებულია ამონაწერის ჩატვირთვის დამუშავებაში საკომისიოს დათვლის ხარვეზი, როდესაც წესის მითითება ხდება ამონაწერის ჩატვირთვის ფორმიდან
- გასწორებულია საცალო ინტერფეისში სერიული ნომენკლატურის არჩევის ხარვეზი

- გასწორებულია მიღებული ზედნადების დამუშავებით შექმნილ ძირითად საშუალებაზე პასუხისმგებელი პირის შევსების ხარვეზი
- გასწორებულია ბანკში ატვირთული ფულის გასვლის დოკუმენტის თარიღის ცვლილების ხარვეზი, როდესაც დოკუმენტი დადასტურებულია
- გასწორებულია განაცხადის დოკუმენტში, მომსახურების ჩანართზე ზომის ერთეულის არჩევის ხარვეზი

სხვა მოდიფიკაციები

- გატარების შეზღუდვა ისეთ კლიენტებზე რომლებსაც გადახდის პირობის მიხედვით უფიქსირდებათ ვადაგადაცილებული დავალიანება
- მარდიში გატარების შეზღუდვა ისეთ კლიენტებზე რომლებსაც გადახდის პირობის მიხედვით უფიქსირდებათ ვადაგადაცილებული დავალიანება
- მარდიში საწარმოო კალენდრის გადატვირთვა და მიწოდების დღეების დათვლა კალენდრის მიხედვით
- ბალანსის რეპორტი პერიოდულობის მიხედვით
- შეზღუდული მომხმარებლისთვის ანგარიშის ბარათზე კომენტარის ველის ხილვადობა
- ლოიალურობის ბარათის ტრანზაქციის თანხების გაცვლა ვებ-სერვისებით
- ჩემი ამოცანების ოპტიმიზაცია
- გეგმიურ დარიცხვებში თანხის/ფასის ველი გაზრდილია მძიმის შემდეგ 4 თანრიგამდე